ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

17 აპრილი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 69 (10482) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპორტის ბევრი სახეობა დიდი ხანია მამაცობის სინონიმად იქცა. რა გასაკვირია, რომ მართლა მამაცობაა საჭირო დოღი გამართო... გაყინულ ტბაზე. ასეთი საინტერესო შეჯიბრებები უკვე 80 წელზე მეტია ტარდება შვეიცარიაში. სურათზე, რომელსაც გთავაზობთ, აღბეჭდილია ამას წინათ შვეიცარიის სამთო კურორტ სანკტ-მორიცაში ყინულზე გამართული დოღი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

რუსთაველ მორაგბეთა კლუბის „რუსთავი-90“-ის წევრები გულითადად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და თქვენდამი გამოცხადებულ უდიდეს ნდობას — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას.

რუსთაველი მორაგბეები ძალღონეს არ დავიშურებთ საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, ერის აღმავლობისათვის.

**რუსთაველი მორაგბეები და მათი მწვრთნელები.**

## მხოლოდ „შევარდენმა“, სხვები დუმან...

**თიანეთის** რაიონში რეგისტრაციაში გატარდა ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი რესპუბლიკური მნიშვნელობის ცენტრი, რომელსაც დაეთმო კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორია („კუჟანას ბაღი“). პირველმა თანხა ცენტრს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკურმა საბჭომ ჩაურიცხა. სამწუხაროდ, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ხელი დღემდე არ გამოიღეს. თიანეთის აგრობანკში გახსნილია ცენტრის ანგარიში, რომლის ნომერია 70060.

## ვიწვევთ კონფერენციაზე!

**1991 წლის** 19 აპრილს მოწვეულია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის კონფერენცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს, მათ შორის რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორებს, ვთხოვთ, კონფერენციაზე მოავლინონ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე მომუშავე რედაქციის შტატის თანამშრომლები.

კონფერენცია ჩატარდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ საკონფერენციო დარბაზში. დასაწყისი — 15 საათზე.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

## საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტს! გაზეთ „ლელოს“ რედაქციას!

საქართველოს ყრუთა საზოგადოების პრეზიდიუმი და ამავე საზოგადოების ყრუ მოქალაქეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის რესპუბლიკური კომისია მხარს უჭერს საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას საკავშირო სისტემიდან რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის გამოყოფის თაობაზე. ამიერიდან საქართველოს ყრუთა საზოგადოებაც უარს აცხადებს საკავშირო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე.

ჩვენი საზოგადოება ურთიერთკავშირს არ გაწყვეტს საბჭოეთში შემავალ რესპუბლიკებთან, გააფართოებს კონტაქტებს საზღვარგარეთის ქვეყნების ყრუთა საზოგადოებების ასოციაციებთან.

**ბორის შუბლაძე,**
**საქართველოს ყრუთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.**

## ვაზუსტებთ...

**საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის განცხადებაში, რომელიც „ლელოში“ გუშინ გამოქვეყნდა, მეორე აბზაცის ბოლოს ორი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „ეს საკითხი შესაბამის ოლიმპიურ კომიტეტებთან ცალკე მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს“.**

## მსაჯთა „დეფიციტით“ ზარალდება შეჯიბრება

**იმის** გამო, რომ ქუთაისში, სადაც ახლახან გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კრივში, არ ჩავიდნენ ჩვენი საუკეთესო მსაჯები, კერძოდ, თბილისელები: ჯემალ გოგიაშვილი, თამაზ პატარიძე, სოხუმელი თემურ სამუშია, ფოთელი იური მატკავა, გორელი გიორგი ქარელიძე, რუსთაველი ნორიკ მარდაროვი, ახალციხელი ლევან გიორგაძე, ასპარეზობაზე არბიტრთა დეფიციტი შეიქმნა. ამიტომაც ერთ მსაჯს რამდენიმე ბრძოლების „გაძღოლა“ უწევდა. ეს კი საკმაოდ დიდი დატვირთვაა, არბიტრს ჩვეულებრივ, უჩლუნგდება მოვლენათა სწრაფი ფიქსირების უნარი და ამიტომ მისი „განაჩენი“ შეიძლება მთლიანად ობიექტური არ იყოს... ეს ისე, სხვათა შორის, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდგომისთვის.

რაც შეეხება თვით ასპარეზობას, „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ დღეებში ჩვენი საუკეთესო მოკრივეები: რამაზ და ზურაბ ფალიანები, პაატა გვასალია, კახაბერ ბარავი, აკაკი კაკაურიძე, კობა გოგოლაძე და ზურაბ სარსანია სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობაში იყვნენ ჩაბმულნი და ქუთაისში არ ჩამოსულან, რითაც ჩემპიონატის სანახაობრივ მხარეს დაღი უნდა დასმოდა. რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ეს ასეც იყო. უძლიერესთა გამოსვლა მეტ მიმზიდველობას შესძენდა ორთაბრძოლებს. და მაინც, მაყურებელი არაერთი საინტერესო და დაძაბული შეხვედრის მოწმე გახდა. პირველ ყოვლისა კი მას დაამახსოვრდა თბილისის უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტის კახაბერ ჩიქვინიძის (63,5 კგ) გამოსვლა. მან ოთხი ბრძოლა ჩაატარა და ყველა მეტოქეს დამაჯერებლად სძლია. მათ შორის ორ ძლიერ სპორტის ოსტატს — ადგილობრივ ზაალ ჯავახაძეს და თბილისელ ომარ ბადაგაძეს. მეორე ქვესაშუალო წონის (67 კგ) ფინალში რუსთაველ რობერტ ჩიბუხჩიანთან მოხდენილად გაიმარჯვა მასპინძელმა მიხეილ კაპატაძემ და ჩემპიონობა მოიპოვა.

უაღრესად დაძაბული გამოდგა შეხვედრები მომდევნო, 71 კგ წონით კატეგორიაში. ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ პირველობის აშკარა პრეტენდენტები: მასპინძელი დავით ფარქოსაძე და თბილისელი ნუკრი სუხაშვილი. მათ შორის უძლიერესად ქუთაისელი მოკრივე ჩათვალეს მსაჯებმა. აქ სწორედ არბიტრთა რეაგირების იმ მოდუნებამ იჩინა თავი, რაზეც ზემოთ ითქვა. გამარჯვებული დასკვნით შეხვედრაში შეხვდა საკმაოდ ტექნიკურ მეტოქეს გია გოლეთიანს, რომელსაც ჩვენი მაყურებელი იცნობს როგორც ტექნიკურ, ტაქტიკოს მებრძოლს. მან ამჯერადაც მაღალ დონეზე ჩაატარა სამივე რაუნდი და გაიმარჯვა.

უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატს მთლად უზადოდ არ ჩაუვლია. მსუბუქი წონის არმიელმა მოკრივემ დიმიტრი შურშაკოვმა ჯერ კიდევ თბილისის პირველობაზე მიიქცია კრივის ქომაგთა ყურადღება, იგი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია ახალგაზრდებს შორის. ამდენად, ამ სპორტსმენს არ ესწავლება წონის კონტროლი. მიუხედავად ამისა, ფინალური ბრძოლის წინ მას 2,5 კგ-ით მეტი წონა აღმოაჩნდა... და მოიხსნა შეჯიბრებიდან, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, მომხდარი სამერმისოდ უნდა გაითვალისწინოს შურშაკოვის მწვრთნელმა ს. ბერძენიშვილმა. ერთი სიტყვით, 60 კგ წონაში ჩემპიონი უბრძოლველად გახდა რუსთაველი გოჩა ფასეიშვილი. არმიელმა მოკრივემ საკმაოდ დააზარალა თბილისის გუნდი.

დანარჩენ წონით კატეგორიებში უძლიერესის სახელი მოიპოვეს: 48 კგ. გოჩა თორლაშვილმა (ჭიათურა), 51. გიორგი ქოჩიშვილმა (ქუთაისი), 54. მამუკა აბსარიძემ (ფოთი), 57 ონისე ნემსიწვერიძემ, 75 ჯამბულატ ყუფარაძემ, 81. პაატა მუსელიანმა (ყველანი — ქუთაისი), 91. ჯაბა ცუხიშვილმა (საჩხერე), +91. დომენტი დანელიამ (ქუთაისი).

გუნდურ პირველობაში ყველას აჯობა მასპინძელთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენლები, მესამეზე — ჭიათურელი მოკრივეები.

**ჭ. უნგიაძე**

## ცხოვრება სპორტშიც გაძვირდა

## „მეკარე“ მიდის მინდვრიდან

**მოლდოვაში 30 წელზე მეტხანს არსებობდა ბავშვთა საფეხბურთო რესპუბლიკური კლუბი „მეკარე“. და აი, სულ ახლახან ამ კლუბმა თავისი არსებობა შეწყვიტა.**

კლუბის საბჭოს სხდომაზე „მეკარის“ ტურნირების ორგანიზატორებმა (მოლდოვის ფეხბურთის ფედერაცია, მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო, კომუნალურ-საცხოვრებელი მშენებლობის ასოციაცია „ასკომი“, მოლდოვის ახალგაზრდული კავშირის ცენტრალური საბჭო) გადაწყვიტეს უარი ეთქვათ 1991 წლის შეჯიბრებათა ჩატარებაზე იმის გამო, რომ მკვეთრად გაიზარდა ფასები კვებაზე, სპორტულ ფორმაზე, სასტუმროებზე, სტადიონების იჯარაზე და ა. შ. ახალმა ხარჯთაღრიცხვამ შარშანდელს სამჯერ გადააჭარბა და 200 ათას მანეთზე მეტი შეადგინა. საინტერესოა, რომ კლუბის ყველაზე მდიდარი წევრის — მოლდოვის დამოუკიდებელი პროფკავშირების წარმომადგენლები არც გამოცხადებულან საბავშვო კლუბ „მეკარის“ სხდომაზე.



„იბერია“ — „ბათუმი“.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„იბერია“ (თბილისი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 3:0 (1:0).**

**თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 14 აპრილი.**

**„იბერია“: ჩხეიძე (ჩლაიძე), ინალიშვილი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაპარავა (ჯამარაული), ყაველაშვილი, გოგიჩაიშვილი (არზიანი).**

**„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, შეყილაძე, შანიძე, მახარაძე, ბრუნჯაძე, ხომერიკი (ღლონტი), ტუღუში, კიურჯიევი.**

**მსაჯები: ვ. შელია (გაგრა), ე. ხილაგავა, ა. შილაკაძე, (ორივე — თბილისი).**

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში თბილისელთა უპირატესობით დაიწყო, თუმცა, პირველი საგოლე მომენტი სწორედ მასპინძელთა კართან შეიქმნა: შეხვედრის მეთექვსმეტე წუთზე კიურჯიევის დარტყმული ბურთი ლამაზ ნახტომში მოიგერია ჩხეიძემ. რამდენიმე წუთში ზ. რევიშვილმა, შორი მანძილიდან ულამაზესი ბურთი გაიტანა ბალაძის კარში — 1:0. ბათუმელები თითქოს გამოაცოცხლა გაშვებულმა ბურთმა, მაგრამ მასპინძელთა მცველები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ.

მეორე ტაიმი ორმხრივი იერიშით დაიწყო. ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა ჯიშკარიანმა, შემდეგ ხომერიკს მიეცა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა ასცდა კარს.

ამის შემდეგ, უპირატესობას კვლავ მასპინძლები დაეუფლნენ, ბალაძის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა — ახლოს იყვნენ მიზანთან კაპარავა, გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, ყაველაშვილი, მეორე ბურთის გატანა შეხვედრის 65-ე წუთზე ცხადაძემ შეძლო — ჯიშკარიანის ჩამოწოდებულ საჯარიმოს მისი თავური დარტყმა მოჰყვა მეკარისაგან მარცხენა კუთხეში და ანგარიში ორამდე გაიზარდა. ოთხი წუთის შემდეგ კვლავ ჯიშკარიანის ჩამოწოდებული ბურთი მიიღო ქეცბაიამ, რომელმაც ზუსტად გადააწოდა უმეთვალყურეოდ დარჩენილ ყაველაშვილს. ამ უკანასკნელის დარტყმამ მიზანს მიაღწია — 3:0.

**თ. ჯიშკარიანი**

იხ. მე-3 გვ.

ტურისტული სეზონი კარს მოგვადგა



# გატაცება... ჩანჩქერებთან ჭიდილი

**საინტერესო მოგზაურობა აქვთ ჩაფიქრებული თბილისის სამხატვრო აკადემიის საწყლოსნო ტურიზმის სექციის წევრებს. ისინი წლეულს, ზაფხულში, ფარავნის ტბიდან მდინარე ფარავნით ხერთვისამდე და ხერთვისიდან მდინარე მტკვრით მცხეთამდე იმოგზაურებენ.**

სექციას, რომელსაც მხატვარი, სპორტის ოსტატი არსენ აბრამიშვილი უდგას სათავეში, რთული საწყლოსნო მარშრუტების გავლის სოლიდური გამოცდილება აქვს.

გავიხსენოთ თუნდაც სტუდენტთა ლაშქრობებისას ჩანჩქერებისა და ჩქერების დაძლევა ფშავის არაგვზე ბარისახოსთან, ალაზანზე — ბირკიანთან, არაგვზე — მლეთასთან, მტკვარზე — თმოგვის ციხესთან, ალაზანზე — წითელ საბათლოს ქვემოთ, რიონის სათავიდან ქუთაისამდე, ცხენისწყლით შავ ზღვამდე...

და განა მარტო რესპუბლიკაში, სექციის წევრებმა შორეულ აღმოსავლეთში სახატალინის ქედიდან მდინარე კამაზე, იაპონიის ზღვამდე, 140 კილომეტრი გადალახეს. ეს იყო პირველი ლაშქრობა ამ მარშრუტით, ამდენად, მოლაშქრეებმა ისარგებლეს ამ უფლებით და ექსპედიციის ხელმძღვანელის არსენ აბრამიშვილის წინადადებით ტრასის რთულ მონაკვეთებს დაერქვა ქართული სახელები — „თბილისი", „დარიალი", „არაგვი", „ალაზანი". ჩვენი მდინარეების სახელები ეწოდა ისეთ ადგილებს, სადაც დინება მასშტაბურობით, ჰიდროდინამიკურობით და სხვა მონაცემებით ჩვენსას შეესატყვისება.

სექციის ისტორიაში შევიდა აგრეთვე, 20-დღიანი დაშვება სამხრეთ ბაიკალის მდინარე კანტეგირზე, რომელიც დინამიკურობით V კატეგორიის მარშრუტთა რიცხვს განეკუთვნება. ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ სექციის აქტიური წევრები არიან აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი გ. მიზანდარი, ფიზაღზრდის კათედრის გამგე გ. ჯაფარიძე, ა. ალექსიძე, თ. ორთოიძე, ი. ფესვიანიძე, რ. ზაუტაშვილი, გ. სხულუხია, დ. გომართელი და სხვები.

**სიმონ ნაციაშვილი,**
**ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დოცენტი.**

**სურათებზე: ტურისტულ მოლაშქრეთა ბანაკი მდინარე ალაზანზე (ზევით); ქვევით — პროფესორი გ. მიზანდარი (უკანა პლანზე) და სტუდენტი დ. გომართელი ტრასაზე.**



# ადრე ჩვენში სხვაგან ეძებდნენ სამეცნიერო საბჭოს, ახლა სხვები ჩვენთან მოდიან დისერტაციის დასაცავად

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სამეცნიერო საბჭოს შექმნა და უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ მისთვის დისერტაციების დაცვის უფლების მინიჭება იმიტომ ღირს საჯაროდ გამოსატანად, რომ ამიერკავკასიის რეგიონში შესაბამისი პროფილის მქონე ინსტიტუტებს შორის ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი ერთადერთია, ვისაც ამის ნება დართეს. ამან კი ხელ-ფეხი გაუხსნა სამეცნიერო ხარისხების მაძიებელთ. ადრე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მთელს კავშირში ეძებდა შესაბამის საბჭოს, რათა როგორმე მოეხერხებინა დისერტაციის დაცვა, მაგრამ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა ბიუროკრატიულ წინააღმდეგობებთან იყო ეს დაკავშირებული.

დღეისათვის ეს საქმე მოგვარდა და ახლა ჩვენი რესპუბლიკის ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც სპორტში მეცნიერული კვლევა იტაცებს, შეუძლია დაიცვას დისერტაცია საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს სხდომაზე, დაწვრილებით ამ სასიამოვნო ფაქტის შესახებ გვესაუბრება ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გურამ ძაგანია.

● **როგორც ვიცით, ადრეც არსებობდა ასპირანტურა ფიზკულტურის ინსტიტუტში...**

— დიახ, მაგრამ 1980 წელს დაიხურა. შემდეგ ინსტიტუტის ახალმა ხელმძღვანელობამ, 1986 წელს, კვლავ აღადგინა ასპირანტურა, რაც ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მოზღვავებამ გამოიწვია, მაგრამ ეს პრობლემების ერთი მხარის მოგვარებას ნიშნავდა — ადგილობრივი სამეცნიერო კადრები ასპირანტურას ჩვენთან ამთავრებდნენ, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კი კავშირის სხვადასხვა ქალაქებში უნდა ეძიათ ადგილი, რომელიმე სპეციალიზებული საბჭოს სხდომის ჯეგმაში მოსახვედრად. ეს კი ორი, ზოგჯერ, სამი და მეტი წელიც გრძელდებოდა. ამის გამო, არცთუ იშვიათად, ზოგი მეცნიერ-მუშაკი საერთოდ წყვეტდა დისერტაციაზე მუშაობას.

● **რა აუცილებელი პირობის შესრულება იყო საჭირო სპეციალიზებული საბჭოს ჩამოსაყალიბებლად?**

— საბჭო დაარსდა 1989 წლის 1 დეკემბერს. წესი წესია — შემადგენლობაში სულ მცირე ორი მეცნიერებათა დოქტორი და ათი მეცნიერებათა კანდიდატი უნდა ყოფილიყო. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, მოვაგვარეთ: ჩვენს საბჭოში ათი მეცნიერებათა დოქტორია, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ მოსიძე, რაც ერთიორად ზრდის საბჭოს ავტორიტეტს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1989 წლის დეკემბერში ერთი წლით დაგვრთეს ნება საბჭოს მუშაობისა, ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი ვაკ-მა ეს უფლება უდავოდ გაგვიგრძელა. ჯერჯერობით მხოლოდ პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭების უფლება გვაქვს პროფილით — 13.00.04: ფიზიკური აღზრდის, სპორტული წვრთნის და გამაჯანსაღებელი ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა.

● **ვინ და როდის დაიცვა პირველი დისერტაცია?**

— ტანვარჯიშის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა მურთაზ ცხვედაძემ და ფიზკულტურული მუშაობის მართვისა და ისტორიის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ლელა აფციაურმა. ეს 1990 წლის მარტში მოხდა. დაცვამ წარმატებით ჩაიარა და ორივეს მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

● **შემდეგ?**

— მათ გარდა, დღეისათვის კიდევ 21-მა კაცმა დაიცვა დისერტაცია. მათგან 14 კანდიდატი ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელია. ერთი — ატილა ვიგხი, უნგრეთის რესპუბლიკიდანაა, სამი — სომხეთიდან (სხვათა შორის, მათ შორისაა სომხეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ისპირიანი), ორი მოსკოველია, თითო — ტაშკენტიდან, ყირგიზეთიდან და ტალინიდან, ერთიც — საქართველოს ფიზიკური კულტურის კვლევითი ინსტიტუტიდან.

● **ყველაფერმა ამან, ალბათ, გაზარდა სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა რიცხვი თქვენს ინსტიტუტში...**

— რა თქმა უნდა, გამოცოცხლდა სტუდენტ-მასწავლებელთა სამეცნიერო მუშაობა — ადრე ასპირანტურაში ექვს ადგილზე ექვსი კაცი მოდიოდა, ახლა ორი-სამი კაცი აცხადებს პრეტენზიას ერთ ადგილზე. ეს რიცხვი, დარწმუნებული ვარ, კიდევ გაიზრდება. ამჟამად ასპირანტურაში ოცდახუთი კაცი სწავლობს: თორმეტი დაუსწრებელ სწავლებაზე, ცამეტი დასწრებულზე. გარდა ამისა, გვაქვს მიზნობრივი ასპირანტურაც, სადაც ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებიდან ყოველწლიურად თითო მსურველს შეუძლია ისწავლოს.

● **ბატონო გურამ, ალბათ, გარკვეული წინააღმდეგობების გადალახვაც დაგჭირდათ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მით უმეტეს, ქართველმა მეცნიერებმა კარგად იციან: ბიუროკრატიული ორგანიზაცია ასე იოლად არ დაგითმობდათ...**

— ბრძოლა, ცხადია, გაგვიჭირდა, მაგრამ ჩვენი რექტორის, ბატონ ომარ გოგიაშვილის ხელშეწყობით, საერთო ძალისხმევით, საქართველოს სამეცნიერო წრეების დახმარებით, გავიმარჯვეთ.

...ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა მართლაც დიდი საქმე გააკეთა. აქვე ურიგო არ იქნება გავეცნოთ, ერთ-ერთ დისერტანტს, კერძოდ, მანუჩარ დვალს. მართალია, მურთაზ ცხვედაძემ და ლელა აფციაურმა ფიზკულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პირველებმა დაიცვეს დისერტაცია, მაგრამ სპორტის ოსტატი მანუჩარ დვალი პირველი დისერტანტი იყო, რომელმაც ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა და აქვე, მშობლიური ინსტიტუტის კედლებში, მოახერხა მოეპოვებინა სამეცნიერო ხარისხი 1991 წლის 1 მარტს. საბჭოს 14 წევრიდან თოთხმეტივემ დადებითად შეაფასა მისი სადისერტაციო ნაშრომი: „რაპირით მოფარიკავე ჭაბუკების (10-16 წელი) გადაადგილების ტექნიკის ფორმირება".

დაბოლოს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შექმნა სამეცნიერო კადრების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ზრდის უტყუარი გარანტიაა, რაც, იმედია, სასიკეთოდ წაადგება ქართულ სპორტს.

**ესაუბრა ლევან ჯავახიშვილი.**

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**საქართველოს პირველობა ძალოსნობაში (1975 წელს დაბადებულთა და უმცროსთა შორის). საჩხერე.**

**56 კგ.** 1. ჯაბა კაპანაძე — შედეგი 87 კგ., 2. მამუკა ბრეგვაძე (ორივე — საჩხერე) 82, 3. დავით ზაქარიაძე, (ოზურგეთი)— 75.

**40.** 1. გიორგი ყიფიანი — 107, 2. დავით მაჭარაშვილი (ორივე — საჩხერე) — 95, 3. მერაბ მოსეშვილი (დედოფლის წყარო) — 70.

**48:** 1. ნიკა ოგანოვი (თბილისი) —140, 2. გაიოზ გაფრინდაშვილი (საჩხერე) — 137, 3. ანდრო ვართანოვი (თბილისი) — 135.

**52.** 1. არმენ თათეოსიანი (თბილისი) — 165, 2. ზაზა მაკასარაშვილი (საჩხერე) — 152, 3. გიგა კანდელაკი (ქუთაისი) — 142,5.

**56.** 1. კობა ალავიძე (საჩხერე)— 205, 2. დავით აბრამიშვილი (თბილისი) — 165, 3. აკაკი კაკაბაძე (ქუთაისი) — 147.

**60.** 1. არკადი არუთინოვი (თბილისი) — 192, გიორგი გიორხელიძე — 190, 3. ზაალ ყურაშვილი (ორივე — ქუთაისი) — 180.

**67,5.** 1. თათეოს სარქისიანი (ახალციხე) — 215, 2. შალვა ჩხეტიანი (ქუთაისი) — 202,5, 3. არმენ საიკიანი (თბილისი) — 202,5.

**75.** 1. ანდრო გრიშინი (თბილისი) — 212; მეორე-მესამე ადგილები ჩათვლაში ვერ მოხვდა.

**82,5.** 1. გელა დვალიშვილი (ქუთაისი) — 230, 2. გოჩა ტალახაძე (საჩხერე) — 215, 3. მალხაზ სოფრომაძე (ქუთაისი) — 180.

**90.** 1. ზაზა ბენიძე (წყალტუბო) — 212, მეორე-მესამე ადგილები ჩათვლაში ვერ მოხვდა.

**+90.** 1. ვალიკო სიმონიანი (ახალციხე) — 165, 2. დიმიტრი კაზარიანი (თბილისი) — 160.

**გუნდური ადგილები:** 1. საჩხერე, 2. თბილისი, 3. ქუთაისი.

## ტურნირები და შედეგები

● **ცურვა. ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ ვიქტორიაში გაიმართა მსოფლიო თასის ბოლო ეტაპი (25-მეტრიან აუზში). თავისუფალი სტილით საშუალო დისტანციებზე ცურვაში ყველას გერმანელმა უვე დახლერმა აჯობა, ზურგზე ცურვაში — მარკ ციუკსბერიმ, ბატერფლაიში — მარსელ ჯერიმ (ორივე — კანადა), კომპლექსურში, კი — იოზეფ ხლადკიმ. (გერმანია). ქალთა შორის გაიმარჯვეს: სპრინტში თავისუფალი სტილით — კრისტინა სოსიმ (იტალია), ზურგზე — დაგმარ ჰაზემ, ბრასში — პეგი ჰარტუნგმა, ბატერფლაიში — კრისტინა ზივერტმა (ყველა გერმანია), კომპლექსურ ცურვაში — ნენსი სვიტრეიმ (კანადა).**

● ველოსპორტი. პროფესიონალთა მრავალდღიანი რბოლა ბასკონიის გზებზე (ესპანეთი) მოიგო იტალიელმა კლაუდიო კიაპუჩიმ. დისტანციის გავლას მან 19 საათი, 56 წუთი და 9 წამი მოანდომა.

● **ჰოკეი. როგორც ცნობილია, 19 აპრილს ფინეთში დაიწყება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი. პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს ესაუბრა საერთაშორისო კავშირის პრეზიდიუმის წევრი უ. პირკოლა, რომელმაც აღნიშნა, რომ წლევანდელი ტურნირის შემადგენლობა იმდენად თანაბარია, რომ ყურადღებას იმსახურებს ყველა გუნდი, მათ შორის გუშინდელი აუტსაიდერები — გერმანია და შვეიცარია. ამ კოლექტივებს, პირკოლას აზრით, ნებისმიერი სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლიათ. პრესკონფერენციაზე გამოითქვა რწმენა, რომ ფინეთის ნაკრები შინ, საკუთარი მაყურებლების მხარდაჭერით, უეჭველად რომელიმე საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს.**

● ავტორალი. გერმანიის ღია ჩემპიონატის მესამე ეტაპი 30 წლის ინგლისელი სამხედრო მოსამსახურის დევიდ ლიდჰემისთვის საბედისწერო გამოდგა. მანქანა, რომელშიც მასთან ერთად იჯდა გერმანელი ულფ-ვილჰელმ ცორნი, მოცურდა და გზის პირას მდგარ ხეს შეასკდა. ლიდჰემი ადგილზევე გარდაიცვალა, ცორნი კი საავადმყოფოში მოათავსეს. მისი მდგომარეობის შესახებ ექიმები საიმედოს ჯერჯერობით ვერაფერს ამბობენ.

● **ველოსპორტი. პროფესიონალთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რბოლა — პარიზი-რუბე (266,5 კმ), რომელიც, ამავე დროს, მსოფლიო თასის მესამე ეტაპს წარმოადგენდა, 32 წლის ფრანგმა მარკ მადიომ მოიგო — 7:08.19.0. თანაც, უახლოეს მეტოქეს, თანამემამულე ჟან-კლოდ კოლოტის, 1 წუთით და 07 წამით გაუსწრო. ერთი დეტალიც: „ტურ დე ფრანსის" არაერთგზის ჩემპიონებმა, ფრანგმა შარლ მოტემ და ამერიკელმა გრეგ ლემონდმა შესაბამისად 36-ე და 58-ე ადგილები დაიკავეს, მსოფლიო თასის წლევანდელი ლიდერი როლფ სორენსენი კი 51-ე იყო.**

**რაც შეეხება ქვედა საქსონიაში ჩატარებულ ქალთა ექვსდღიან რბოლას, იგი აშშ-ის ნაკრებმა მოიგო. პირად ჩათვლაშიც ამერიკელმა კარენ ბლისმა გაიმარჯვა.**

● **ავტოსპორტი.** აქ გამართულ პოპულარულ 24-საათიან ავტორბოლაში წარმატება მოიპოვეს ფრანგმა ავტომობილისტებმა („იამაჰას" გუნდი) — ფილიპ მონრემ, ბრუნო ბოლიუმ და რაშელ ნიკოტემ, რომლებმაც 724 წრე საათში 135,7 კილომეტრის სისწრაფით დაფარეს.

## მოკლედ

**გურჯაანის** რაიონის სოფელ მუკუზანის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში ჩატარდა პირველი სპარტაკიადა ქართულ ეროვნულ მოძრავ თამაშებში: ზარობანა, რჩოლაობა, თარჩია, ქუდის აღება და ქუდის წართმევა.

მომავალში გაიმართება საერთო სასკოლო სპარტაკიადა ეროვნულ მოძრავ თამაშებსა და სპორტის ეროვნულ სახეობებში, რომელიც ტრადიციად დამკვიდრდება.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:0 (0:0).**

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 14 აპრილი.

„გურია“: ქანთარია, კეტაშვილი, გუჯაბიძე, დანელია, მიქაბერიძე, (ჩხაიძე), ცომაია, ბარათაშვილი, მეგრელაძე, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (კვინტრაძე).

„კოლხეთი-1913“: გვასალია, ყიზილაშვილი, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, ბაჯალაძე (გენძეხაძე), თვარაძე, ქობალია.

მსაჯები: ა. მილჩენკო, დ. ცომაია (ორივე — სოხუმი), ლ. რაზმაძე (გორი).

„გურიამ“ იერიშებით დაიწყო შეხვედრა, სტუმრებმა კი მეტოქეს წინასწარ დაგეგმილი ვარიანტი შესთავაზეს — დაცვითი თამაში. პირველი სახიფათო მომენტი მეგრელაძემ შექმნა. მალე უგრელიძემ დაკარგა გოლის გატანის შანსი, ცომაიას დიაგონალური პასით პირისპირ გასულმა მეგრელაძემ ვერ მოახერხა გვასალიას მოტყუება. მოკლედ, ლანჩხუთელთა უპირატესობა აშკარა იყო, „კოლხეთი-1913“ მხოლოდ ეპიზოდურად უტევდა. ტაიმის შუაწელში ლანჩხუთელებს კიდევ 3-ჯერ შეეძლოთ ბურთის გატანა, მაგრამ ხან მეკარე, ხან მცველები იგერიებდნენ მეტოქის შემოტევას.

მეორე ტაიმის დასაწყისში, 50-ე წუთზე, ფოთელთა მცველებმა ცომაიას მიერ დარტყმული ბურთი კარის ხაზზე მოიგერიეს. კუთხურიდან მეგრელაძის მოწოდებული ბურთი კი ისევ ცომაიამ თავით გაგზავნა კარში — 1:0.

**გოჩა ვასაძე,**
„ლელოს“ კორ.

**„ალაზანი“ (გურჯაანი) — „მზიური“ (გალი) 2:0 (0:0).**

გურჯაანი. „ალაზნის“ სტადიონი. 14 აპრილი.

„ალაზანი“: ჰუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი (ბარნაბიშვილი), შეხვატოვი, ძნელაძე, ხანადირაძე, ბაწაშვილი, ზაალიშვილი (ლობჟანიძე) სოლოღაშვილი, თეთრაული, კობახიძე.

„მზიური“: გეთია, კვეკვესკირი, ფარფალია (კაკავა), თემურ ლურწკაია, დავით ლურწკაია, პავლიჩუკი, ჯლარკავა, მორგოშია, ჩხეტია (ხურცილავა), ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), გ. მიქაუტაძე, პ. დოგრაშვილი (ორივე — ქუთაისი).
გააფრთხილეს გ. ძნელაძე.

თამაშის დასაწყისშივე გალელმა ფეხბურთელებმა სახიფათოდ შეუტიეს მასპინძელთა კარს. უკვე მე-2 წუთზე, დაახლოებით 22 მეტრის მანძილიდან კვეკვესკირის სახიფათო საჯარიმო დარტყმა მოიგერია ჰუნიაშვილმა. 15-ოდე წუთი ინიციატივა სტუმართა მხარეს იყო, მეკარემ რამდენჯერმე იხსნა თავისი კარი.

ამის შემდეგ გურჯაანელები გააქტიურდნენ, მათი შეტევების ორგანიზატორი კი სოლოღაშვილი იყო. კარის აღების კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ ზაალიშვილს, თეთრაულს, კობახიძეს, სოლოღაშვილს, ამ უკანასკნელის დარტყმის შემდეგ სტუმართა კარი ძელმა იხსნა.

მასპინძლებმა მეორე ნახევარი ენერგიულად დაიწყეს და 47-ე წთ-ზე მრავალსვლიანი ლამაზი კომბინაცია ასევე ლამაზი დარტყმით დააგვირგვინა კობახიძემ — 1:0. არ გასულა ერთი წუთი და ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი სტუმართა კარში მეორედ გაგზავნა ზაალიშვილმა. გურჯაანელებს არც ამის მერე შეუნელებიათ იერიშები. მათ უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. კარის აღების რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ჰქონდა თეთრაულს, მისი ერთ-ერთი დარტყმა კიდევ ერთხელ მოიგერია ძელმა.

გალელები იშვიათად გადადიოდნენ კონტრშეტევებზე. მათ რიგებში გამოირჩეოდა ქანთარია. ამჯერად მისი გადაცემის შემდეგ ჯლარკავას დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

აღვნიშნავთ, რომ ეს მატჩი სანახაობრივად ლამაზი გამოდგა. მაყურებელმა იხილა ყველაფერი ის, რაც ამშვენებს ფეხბურთს: მოედნის სიღრმიდან წამოწყებული იერიშები, ფლანგებიდან გარღვევები, შორი მანძილიდან ლამაზი დარტყმები, თავით კარგი თამაში...

**ზაზა ციხკარიშვილი,**
„ლელოს“ სპეც. კორ.

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — „სანავარდო“ (სამტრედია) 2:0 (1:0).**

წყალტუბო. 26 მაისის სახ. სტადიონი. 14 აპრილი.

„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი (გივი ჯანელიძე), გოგელიძე, ხურცილავა, ვარლამ ფეხტვენიძე, რატი იობიძე, ჰელიძე, სიჭინავა, ჰყონია (ცნობილაძე), ზარაბაძე, ჰაბუკი იობიძე.

„სანავარდო“: თოდაძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დავით თვალაბეიშვილი, ლეკვეიშვილი, რუხაძე, ნოზაძე, ვიტალი ბრეგვაძე, ლორთქიფანიძე, ბადრი ბრეგვაძე.

მსაჯები: ს. კვარაცხელია, (ზუგდიდი), ზ. დარჩია, ვ. ეჯიბია (ორივე — თბილისი).
გააფრთხილეს: თ. ცნობილაძე.

თამაშის დასაწყისში მასპინძლებმა იძალეს. მე-7 წუთზე სტუმართა საჯარიმოში გათამაშდა მრავალსვლიანი კომბინაცია, ბურთთან ბოლოს აღმოჩნდა წყალტუბოელთა თავდამსხმელი ზარაბაძე და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ მდგომარეობა თითქმის გათანაბრდა — ორივე გუნდი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე თავდასხმაზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გუნდებს მხოლოდ ორ-ორი ნომინალური თავდამსხმელი ჰყავდათ. მეორე ნახევარში უპირატესობა წყალტუბოელთა მხარეს იყო. მათ არაერთხელ შექმნეს სახიფათო მომენტები მეტოქის კართან, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ სტუმართა გუნდის მეკარე თოდაძე და მცველები. არც წყალტუბოელთა კარის დარაჯი მიქაძე იყო უსაქმოდ, მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ სამტრედიელები, რომელთაგან გამოირჩეოდა ვიტალი ბრეგვაძე, მან 75-ე წუთზე ზუსტი პასი მიაწოდა მეტოქის საჯარიმოზე მყოფ თავის თანამოგვარეს, ბადრის, რომელიც პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ „ამ დუელში“ წყალტუბოელთა გოლკიპერმა იმარჯვა.

მანამდე კი, 63-ე წუთზე, უხეში თამაშისთვის „სანავარდოს“ საჯარიმო მოედნის მისადგომებთან დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. დაახლოებით 22 მეტრიდან ჰელიძემ ძლიერად დაარტყა, თოდაძემ ვერ მოასწრო რეაგირება და ბურთი ჩაეშვა მარჯვენა დაბალ კუთხეში.

2:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „სამგურალმა“.

**ომარ ჭუმბურიძე,**
„ლელოს“ კორ.

**„გორდა“ (რუსთავი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:0, (0:0).**

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 14 აპრილი.

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, თორლაშვილი, ტარიელ კაპანაძე, კილასონია, ავთანდილ კაპანაძე, ფანცულაია (მეტრეველი), ლობჟანიძე.

„ქუთაისი“: ხელაძე, წიქარიშვილი, წივწივაძე, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე (მაღლაკელიძე), ხუნდაძე, ფაიქიძე, ჯანაშია, დარასელია, შენგელია (პეიშვილი).

მსაჯები: გ. ხეფიაშვილი, თ. ლორთქიფანიძე, ო. გუნთაძე (სამივე — თბილისი).

ამ შეხვედრაში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ეს საბოლოო შედეგით ვერ გამოხატა, რადგან ქუთაისელთა მცველები, განსაკუთრებით მეკარე ხელაძე, ძალზე მონდომებულნი თამაშობდნენ და არ აძლევდნენ მეტოქეს მიზნის მიღწევის საშუალებას. ერთადერთი ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „გორდას“, 84-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა გიორგი კილასონიამ.

**რაჟდენ ბაბრიჭიძე,**
„ლელოს“ კორ.

**„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 3:1, (2:0).**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 14 აპრილი.

„მარგვეთი“: დევაძე, (ნიქაბერიძე), ბებიაშვილი, გაბრიჭიძე, ლონდაძე, ლაცაბიძე, ფოცხვერაშვილი. წითელაშვილი (გურიელიძე), ავრამიდისი, ჭულელი, კიკნაძე (ინიაშევი), კერძევაძე.

„ცხუმი“: ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, ჭეჭელავა.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, დ. თოდუა, ზ. ლაცაბიძე, (სამივე — თბილისი).
გააფრთხილეს: გ. ცაავა, მ. ლაცაბიძე.

ათი ათასამდე გულშემატკივარი საინტერესო და უშეღავათო ბრძოლის მოწმე გახდა. შეხვედრა მასპინძლებმა იერიშებით დაიწყო, პირველსავე წუთზე მეტოქე მცველთა დაბნეულობით კარგად ისარგებლა ფოცხვერაშვილმა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. რამდენიმე წუთში მათ კვლავ შეეძლოთ „ცხუმის“ კარის აღება, მაგრამ ოსტატურად ითამაშა მეკარე ყორყოლიანმა.

სოხუმელებმა თავიანთი თამაში ძირითადად კონტრშეტევებზე ააგეს და გოგრიჭიანს, ჯიშკარიანს, გოგიაშვილს შეეძლოთ კიდეც ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეს სოხუმელებს არ უმართლებდათ.

შეხვედრის 34-ე წუთზე სტუმრებმა ზესტაფონელების მორიგი შეტევა საჯარიმოში აკრძალული ილეთით შეაჩერეს, მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც კარგად გამოიყენა კიკნაძემ და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმი სოხუმელთა უპირატესობით წარიმართა, სტუმრები მართლაც მწვავედ უტევდნენ, მაგრამ 61-ე წუთზე ზესტაფონელებმა მესამე ბურთი გაიტანეს მათ კარში. — ლაცაბიძემ 20 მეტრი მანძილიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო — 3:0

სტუმრებს აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ პრესტიჟის გოლზე ეფიქრათ. 81-ე წუთზე გოგიაშვილმა შეძლო ლამაზი თავური დარტყმით ერთი ბურთის გაქვითვა.

**თენგიზ პაჭკორია,**
„ლელოს“ საკ. კორ.

**„სულორი“ (ვანი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:1 (1:0).**

ვანი. ცენტრალური სტადიონი. 14 აპრილი.

„სულორი“: კიკალეიშვილი, კანკაძე, გურამ ვერულაშვილი, ზენაიშვილი, გიზო ბრეგვაძე, ორმოცაძე, (დვალიშვილი), პაიკიძე (არველაძე), ბუიშვილი, ხურცილავა, ჯიმშერ ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.

„ოდიში“: გელენავა, კვარაცხელია, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, შონია, მალანია, შეროზია, ხართანია (ტიბუა), ყიზილაშვილი, თევზაძე (გოგოხია).

მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), დ. მენთეშაშვილი (თბილისი), თ. მაჩიტაძე (ქუთაისი).

ლიდერთან შეხვედრამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია — ათიათასიან ტრიბუნებზე სრული ანშლაგი იყო. დაახლოებით 3000 კაცი ჩამოვიდა ზუგდიდიდან თავიანთი გუნდის საქომაგოდ. მრავლად იყვნენ გულშემატკივრები მეზობელი ქალაქებიდან და რაიონებიდან.

„სულორი“ და „ოდიში“ ბოლო ათი წლის განმავლობაში (მხედველობაში მაქვს საქართველოს პირველობა ეროვნულ ჩემპიონატამდე) ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში. ერთი წლის „განშორების“ შემდეგ ისინი კვლავ წარდგნენ ერთმანეთის წინაშე და, ცხადია, შეხვედრაც მეტად უშეღავათო გამოდგა.

თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და უკვე მეორე წუთზე ზუგდიდელი თევზაძე მეკარე კიკალეიშვილთან აღმოჩნდა პირისპირ, მაგრამ იჩქარა და არაზუსტად დაარტყა. ათი წუთის შემდეგ ზედიზედ ორი კომბინაცია განახორციელეს ვანელმა ფეხბურთელებმა, რასაც სტუმართა მეკარემ აკრობატული ნახტომით „უპასუხა“. 26-ე წუთიდან ტერიტორიულ უპირატესობას მთლიანად ვანელი ფეხბურთელები დაეუფლნენ. არაერთხელ მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა ხურცილავას, გოჩა ბრეგვაძეს, ჯიმშერ ვერულაშვილს, მაგრამ უნაკლოდ თამაშობდა ზუგდიდელთა გოლკიპერი. თუმცა, „ოდიში“ გოლს მაინც ვერ გადაურჩა — პირველი ტაიმის დასასრულს ბუიშვილმა დაახლოებით 20-22 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ბურთი „ცხრიანში“ გაგზავნა.

მეორე ტაიმში კვლავ მძაფრად შეუტიეს ვანელმა ფეხბურთელებმა, სტუმართა მეკარე და მცველები ველარ აუდიოდნენ მასპინძელთა შტურმს.

საპასუხო კონტრშეტევა განახორციელა ტიბუამ, რომელმაც რთული პოზიციიდან დაარტყა კარის მიმართულებით, მაგრამ უშედეგოდ. 82-ე წუთზე გამოცდილი პაიკიძე შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში, გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ დარტყმის მომენტში იგი მოცელეს და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რაც უნაკლოდ შეასრულა დაზარალებულმა — 2:0.

თამაშის დასასრულს ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ვანელთა საჯარიმოში — უხეში თამაშისთვის ამჯერად მასპინძლები დაჯარიმდნენ და მალანიამ თერთმეტმეტრიანი დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ნავსი გატყდა — ვანელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს.

**მურთაზ პირველაშვილი.**
„ლელოს“ კორ.

**„ივერია“ (ხაშური) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0 (1:0).**

ხაშური. „ივერიის“ სტადიონი. 14 აპრილი.

„ივერია“: ბრიაუნისი, ჰინჯარაული, პაატა ნოზაძე, მაღრაძე, ჰანგურიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, კისელიოვი, მჭედლიშვილი (კვანტალიანი), მღვდელაძე, რობაქიძე (ტეფნაძე).

„კოლხეთი“: ბაბუაძე, ბოსტანჯიანი, კაციტაძე, შურღაია, თევზაძე, მამფორია (კალუჟა), გვასალია, რუხაძე (ბაკურაძე), გოგაძე, პიმუშინი, ჰიჰინაძე.

მსაჯები: ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (ორივე — რუსთავი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).
გააფრთხილეს: ი. ხარაზიშვილი, გ. ჰინჯარაული.

ხანგრძლივი წვიმების შემდეგ, 14 აპრილს ხაშურში გამოიდარა და მატჩის დღეს მშვენიერი საფეხბურთო ამინდი დადგა. თამაში ივერიელებმა შინ გამართულ წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, რომლებშიც ისინი პრესინგს მიმართავდნენ ხოლმე, მთელს მოედანზე, სრულიად სხვაგვარი ტაქტიკით დაიწყეს. მასპინძელთა ცენტრალური თავდამსხმელი ხარაზიშვილი ამჯერად სხვა ამპლუაში მოგვევლინა — იგი პერსონალურად მეურვეობდა სტუმართა სახიფათო თავდამსხმელს პიმუშინს, ხოლო როდესაც ეს ფორვარდი უკან იხევდა, ხარაზიშვილი ე. წ. წინამცველის ფუნქციებსაც ასრულებდა. ოდნავ დავასწრებთ მოვლენათა მსვლელობას და ვიტყვით, რომ მან შესანიშნავად გაართვა თავი ახალ ფუნქციას, თუმცა ეს ერთხელ ყვითელი ბარათის ფასად დაუჯდა.

მასპინძლებმა ერთობ ნელ ტემპში დაიწყეს შეხვედრა, როგორც ჩანს, სტუმრებსაც ხელს აძლევდათ ასეთი ტემპი და არც ისინი ცდილობდნენ მოვლენების დაჩქარებას. ეს ტაქტიკა კი როგორც შემდგომ გამოჩნდა, ხაშურელებს უფრო აძლევდათ ხელს და მალე მათ მიზანსაც მიაღწიეს: მე-19 წუთზე მაღრაძის მიერ საჯარიმოს ცენტრში ჩაწოდებულ ბურთს მაღალ ნახტომში მისწვდა ჰინჯარაული და ერთობ უხერხული პოზიციიდან ლამაზად დაარტყა თავით. ბურთი მოხვდა მცველს, მას კი კვლავ ჰინჯარაული დაეუფლა და მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა. ხობელთა კარის დარაჯმა ვერ შეძლო მისგან შორეულ კუთხეში დარტყმული ბურთის მოგერიება. ასე გაიხსნა ანგარიში.

პირველ ტაიმში მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა. მეორე ნახევარში სტუმრებმა უმატეს ტემპს და ერთგვარი სათამაშო უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ ეს მოჩვენებით უფრო იყო, რადგან მწვავე საგოლე მომენტები, ფაქტობრივად, არ შეუქმნიათ, მასპინძლებს კი, სულ ცოტა, სამჯერ მაინც მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მჭედლიშვილ-ჰინჯარაულის კომბინაცია, ამ უკანასკნელმა ულამაზეს ნახტომში დაარტყა თავით, მაგრამ ბაბუაძემ იხსნა საკუთარი კარი.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მატჩში ჰინჯარაული და ხარაზიშვილი საუკეთესონი იყვნენ მინდორზე. რამდენიმე მწვავე მომენტის მიუხედავად, შეხვედრის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

**გოგი გოგოლაძე,**
„ლელოს“ კორ.

**„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 1:1 (1:0).**

რუსთავი. ფოლადის სტადიონი. 15 აპრილი.

„შევარდენი-1906“: ჭვენცაძე, ელიაშვილი, მენთეშაშვილი, ჩადუნელი (ტარტარაშვილი), ნადარეიშვილი, კოპალეიშვილი, ყულიაშვილი, შალამბერიძე, ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

„დილა“: ტოგონიძე, კონდრატიევი, გაგნიძე, წიკლაური, ანიაშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი (მიქელაძე), ხორგუაშვილი, ნეფარიძე.

მსაჯები: ე. სილაგავა, ვ. ეჯიბია, მ. ჰელიძე (სამივე — თბილისი).
გააფრთხილეს: ანიაშვილი.

მოგეხსენებათ, მეოთხე ტურში „შევარდენი-1906“-ისა და ზუგდიდის „ოდიშის“ შეხვედრის დროს „შევარდენის“ სტადიონზე მოხდა უწესრიგობა. სადისციპლინო კომისიამ მასპინძლები ერთი კალენდარული მატჩით დისკვალიფიკაციით დასაჯა. ამიტომაც VI ტურის შეხვედრა „შევარდენი-1906“-სა და გორის „დილას“ შორის რუსთავში გაიმართა.

თამაშის პირველივე წუთზე ყიფიანის გადაცემის შემდეგ, მინაშვილმა გახსნა ანგარიში. მთელი პირველი ტაიმი „დილას“ უპირატესობით წარიმართა, მაგრამ გოლის გატანა მათ მაინც ვერ შეძლეს — გადამწყვეტ ეპიზოდებში სცოდავდნენ თავდამსხმელები.

მეორე ტაიმის 53-ე წუთზე „დილამ“ საპასუხო ბურთი გაიტანა, თავი გამოიჩინა მარლიშვილმა — 1:1. ამის შემდეგ თამაში გამოცოცხლდა, მაგრამ ორივე კართან შექმნილი არცერთი საგოლე მომენტის მიუხედავად, ანგარიშში სხვაობა არ შეცვლილა.

**გაბრიელ რაჟდენიძე,**
„ლელოს“ კორ.

**უმაღლესი ჯგუფი. V ტური.**

**„ბათუმი“ (ბათუმი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 4:0 (1:0).**

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, შეყილაძე, შანიძე, მალხაზ მახარაძე, ბრუნჯაძე, (ივანე მახარაძე), ნასუაშვილი (დლონტი), ტულუში, კიურჯიევი.

„მარგვეთი“: დევაძე, (ნიქაბერიძე), ტოგონიძე, გურიელიძე, ლონდაძე, ლაცაბიძე, (ბებიაშვილი), გაბრიჭიძე, ფოცხვერაშვილი (ინიაშევი), ავრამიდისი, ჭულელი, წითელაშვილი, კერძევაძე.

მსაჯები: გ. ხეფიაშვილი, მ. აბაიძე, (ორივე — თბილისი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).
გოლები: თ. ნასუაშვილი, ა. გოგიტიძე, ა. კიურჯიევი, მ. მახარაძე.

# გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 17 აპრილისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია“ (თბილისი) | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 6 | 4 | 1 | 1 | 6-4 | 13 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 6 | 4 | 0 | 2 | 13-8 | 12 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9-5 | 10 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 6 | 3 | 1 | 2 | 6-4 | 10 |
| „დილა“ (გორი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 6 | 3 | 0 | 3 | 7-10 | 9 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 6 | 2 | 1 | 3 | 7-5 | 7 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| „სანავარდო“ (სამტრედია) | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 6 | 2 | 0 | 4 | 6-10 | 6 |
| „ივერია“ (ხაშური) | 6 | 2 | 0 | 4 | 3-12 | 6 |
| „სულორი“ (ვანი) | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 6 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 6 | 1 | 1 | 4 | 7-8 | 4 |
| „მზიური“ (გალი) | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 5 | 1 | 0 | 4 | 6-12 | 3 |

## მეთევზეთა სეტი

● **სპორტის** მოყვარულებმა უკვე იციან, მაგრამ ერთხელ კიდევ შევახსენებთ, რომ 19 აპრილს ატლანტიკ-სიტიში გაიმართება მატჩი სუპერმძიმეწონის პროფესიულ მოკრივეებს — ევანდერ ჰოლიფილდსა და ჯორჯ ფორმენს შორის. გარდა ყველაფრისა, ეს ორთაბრძოლა ინტერესს იწვევს იმის გამოც, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მაძიებელი ჯორჯ ფორმენი ამჟამად 42 წლისაა. მატჩი ტელევიზიით, ფაქტობრივად, მთელს მსოფლიოში გადაიცემა, ცხადია, საბჭოთა კავშირის გარდა.

● **როგორც** მოგეხსენებათ, ნხლ-ს ჰოკეისტებს ამჟამად ცხელი პერიოდი აქვთ. მიმდინარეობს სტენლის თასის გათამაშების გადამწყვეტი მატჩები „პლეი-ოფის" სერიით. და აი, ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში „პიტსბურგ პინგვინზს" გამოაკლდა დაცვის ბურჯი და საერთოდ პროფესიული ჰოკეის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი პოლ კოფი. მან თვალის მძიმე ტრავმა მიიღო და ერთხანს ეგონათ, საერთოდ დაკარგავს მხედველობასო. ექიმების დასკვნით, ახლა არაფერია საშიში, თუმცა... „პლეი-ოფის" მატჩებს იგი, ალბად, ვეღარ ითამაშებს. აღვნიშნავთ იმასაც, რომ დამნაშავე — „ნიუ-ჯერსის" გუნდის წევრი ვიაჩესლავ ფეტისოვი ამ უხეშობისთვის გააძევეს მოედნიდან... 7 წუთით.

● **გერმანიის** გაერთიანების შემდეგ ბევრმა ამჟამინდელმა ან წარსულში ცნობილმა სპორტსმენმა კომერციულ საქმიანობას მიჰყო ხელი. ასე, მაგალითად, ნოიბრანდენბურგში საკმაოდ პოპულარული სპორტული მაღაზიის „სპორტი და მოდა გმბხ" ერთ-ერთი მეპატრონე გახდა მძლეოსანთა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის სამგზის ოქროსმედალოსანი კატრინ კრაბე. მსოფლიო რეკორდსმენს 400 მეტრზე რბენაში — მარიტა კოხს სპორტული საქონლის მაღაზია აქვს როსტოკში. ბიზნესის გზას დაადგნენ სხვა ცნობილი აღმოსავლეთგერმანელი სპორტსმენებიც: მფრინავი — მოთხილამურე იენს ვაისფლოგი, მარათონელი ვალდემარ ჩერპინსკი, საშუალო მანძილებზე მორბენალი ულრიკე ბრუსკი და სხვა.

● **სპორტის მოყვარულებმა** იციან 41 წლის ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი მარკ სპიცის ახირების შესახებ. სპიცი მართლაც უნიკალური ადამიანი გახლავთ. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ფენომენალური მონაცემების მოცურავემ მიუნხენის ოლიმპიადაზე (1972 წელს) 7 ოქროს მედალი მოიპოვა. მერე სპიცმა თავი მიანება სპორტს, ბიზნესს მიჰყო ხელი და დაიწყო ვაჭრობა უძრავი ქონებით. ახლა, 41 წლის ასაკში, მას ისევ მოუნდა თავისი ძალების შემოწმება და საცურაო აუზში დაბრუნება, თანაც გართობის მიზნით კი არა — სპიცს თურმე განზრახული აქვს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში ერთ-ერთ დისტანციაზე მედლის მოპოვება. და აი, ამ მიზნით გასულ შაბათს მოხდა საინტერესო შეჯიბრება ძველ (მარკ სპიცი) და ახალ (ტომი ჯეგერი) ოლიმპიურ ჩემპიონებს შორის 50 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. სპიცმა ეს ბრძოლა პირწმინდად წააგო, რაც კარგად ჩანს შედეგების შედარებითაც: 24,92 და 26,70. თანაც წააგო უმთავრესად ცუდი სტარტის გამო.

— 70-იან წლებში სტარტს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი, — განაცხადა სპიცმა გაცურვის შემდეგ, — არ ვაქცევდი იმიტომ, რომ სულ ერთი იყო, ვინ მეყოლებოდა წინ. ახლა, როგორც ეტყობა, ცურვაში ბევრი რამ შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში კარგი სტარტი საქმის ერთი ნახევარი ყოფილა.

სპიცმა ეს მარცხი ვაჟკაცურად გადაიტანა. ჩანს, ოლიმპიადის შვიდგზის ჩემპიონი თავის განზრახვაზე ხელს არ იღებს.

# საბატინი—გრაფი 4:0

### გამარჯვება, რომელიც 137.500 დოლარი ღირდა

**ამელია — აილენდი** (აშშ, ფლორიდას შტატი). 20 წლის არგენტინელმა ჩოგბურთელმა გაბრიელა საბატინიმ წლეულს მეოთხე დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ამჯერად ფინალში მან თავისი ძველი მეტოქე და მეგობარი გერმანელი შტეფი გრაფი დაამარცხა — 7:5, 7:6, მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „საბატინი სწრაფად უახლოვდება ოსტატობის იმ მწვერვალს, რომელიც ბევრი ჩოგბურთელისთვის მიუღწეველი აღმოჩნდა". არგენტინელმა შეავიწროვა მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე მყოფი მარტინა ნავრატილოვა და მისი ადგილი დაიკავა.

საინტერესოა ერთი დეტალიც: საბატინი და გრაფი (მეორე ჩოგანი მსოფლიო კლასიფიკაციით) ოთხჯერ შეხვდნენ წლეულს ერთმანეთს უმაღლეს დონეზე და ოთხივე შეხვედრა არგენტინელმა მოიგო. ბოლო რვა შეხვედრის ანგარიშიც, ცხადია, მის სასარგებლოდაა — 6:2.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ბედნიერმა საბატინიმ განაცხადა: „ახლა ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც მზად ვარ მონიკა სელეშთან სათამაშოდ, მოუთმენლად ველი ჩვენს შეხვედრას და იმ დღეს, როცა მსოფლიო რეიტინგში პირველი ვიქნები".

**ტოკიო.** კმაყოფილი ბრუნდება შინ იაპონიის ღია ჩემპიონატიდან მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი ვაჟი სტეფან ედბერგი. ამ კმაყოფილებას, თავად სპორტსმენის განცხადებით, ორი არსებითი მიზეზი აქვს:

**მიზეზი პირველი:** „ეს იყო ჩემი საუკეთესო მატჩი წლეულს, დამაჯერებელი და ღირსეული გამარჯვება. ტურნირის ფინალის მოგების შემდეგ ვიგრძენი, რომ ჯერ კიდევ შემიძლია ვიყო პირველი მსოფლიო კლასიფიკაციაში". ედბერგისა და ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლის ფინალური ბრძოლა მართლაც უაღრესად მძაფრი იყო, ოღონდ მხოლოდ მეორე პარტიაში; პირველი და მესამე კი შვედმა დიდი უპირატესობით მოიგო. თავად განსაჯეთ, შეხვედრის (იგი ერთ საათზე ცოტა მეტ ხანს გრძელდებოდა) შედეგია 6:1, 7:5, 6:0. ლენდლი ასეთი ანგარიშით იშვიათად თმობს ბრძოლას, თანაც ფინალურს.

**მიზეზი მეორე:** დასამალი არაა, რომ თითქმის ყველა პროფესიონალი ჩოგბურთელი სახელის გარდა იბრძვის... ფულისთვის, ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. სწორედ ამიტომ ეძებენ ისინი სარფიან ტურნირებს და გამოდიან ისეთ შეჯიბრებებში, სადაც დიდია საპრიზო ჰონორარი. ედბერგმა იაპონიის ღია ჩემპიონატში გამარჯვებისთვის პრემიის სახით 137.500 დოლარი მიიღო (სხვათა შორის, იაპონელები თავიანთ ტურნირებში მუდამ დიდ ფულად პრიზებს აწესებენ ხოლმე, ედბერგი კი, მოგეხსენებათ, იაპონიის ღია ჩემპიონატს მესამედ იგებს).

ამ თანხას, ცხადია, დაემატა ჰონორარი, რომელიც მან ავსტრალიელ ტოდ ვუდბრიჯთან ერთად წყვილთა ტურნირში გამარჯვებისთვის მიიღო (დაამარცხეს მეორე შვედურ-ავსტრალიური დუეტი — ანდერს იარიდი და ჯონ ფიცჯერალდი ანგარიშით 6:4, 5:7, 6:4).

**ბარსელონა.** მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში გამართული ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო ესპანელმა ემილიო სანჩესმა, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა თანამემამულე სერხიო ბრუგეირა 6:4, 7:6, 6:2. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა ორიოდე დღით ადრე ტურნირიდან გამოთიშა ბორის ბეკერი.

## გ. ბუბუტეიშვილი



თვალში ცრემლჩამდგარმა, აფორიაქებულმა შენმა მეგობრებმა მოგვაკითხეს რედაქციაში. ისინი ერთად მოვიდნენ — სპორტისა და ქართული მილიციის მუშაკები, შენ ხომ ორივე საქმეს სიყვარულით, რაინდულად, ქართველურად ემსახურებოდი.

ძირძველი რუსთაველიაო, გვითხრეს შენმა მეგობრებმა, იქვე დაგიმთავრებია მე-19 საშუალო სკოლა, იმავე წელს გამხდარხარ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.

ხელბურთში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, „ბურევესტნიკის" მოთამაშე, სპორტის ოსტატი, მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი — ასეთია სპორტულ მიღწევათა არასრული ნუსხა.

შემდეგ იყო სამხედრო სამსახური, მწვრთნელ-მასწავლებლობა ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში, შემდეგ მილიციის უმაღლესი სკოლა, რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ჯერ უფროს ინსპექტორად, შარშანდლიდან კი არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორად მუშაობა.

შემდეგ... შემდეგ იყო სამაჩაბლო. ქართულ მიწა-წყალზე ქართველთა სისხლი ილვრებოდა და შენც იქ წახვედი, სადაც მამულისათვის გულანთებულმა ვაჟკაცებმა მიაშურეს.

1991 წლის 11 აპრილს სამაჩაბლოში შეწყდა გიგა ბუბუტეიშვილის სიცოცხლე. რაინდი რაინდულად დაიღუპა. სპორტში არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერად გამოწრთობილი ვაჟკაცი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

შენი მეგობრები, შენი ერთადერთი ვაჟიშვილი, შენი ხალხი მუდამ იამაყებენ შენით.

**რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილება,**
**რუსთავის სპორტკომიტეტი.**

## ეს-ესაა შევიტყვეთ...

### ავსტრიელთა ბენეფისი ესპანეთის ჩემპიონატში

**გაიმართა ესპანეთის ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის 30-ე ტური.** ვიდრე შედეგებს გაგაცნობდეთ, რამდენიმე საერთო ხასიათის შენიშვნა: ტურის ძირითადი თავისებურება გახლდათ ის, რომ სტუმრებმა მასპინძლებზე უფრო მონდომებულად, უფრო აგრესიულად ითამაშეს — სამი მატჩი დამთავრდა ფრედ, სამი — მასპინძლებმა მოიგეს, ოთხ მატჩში კი სტუმრებმა იმარჯვეს.

გათამაშების ლიდერმა „ბარსელონამ" მინიმალური უპირატესობით (1:0) დაამარცხა „კასტელონი" მისსავე მოედანზე. ეს ერთადერთი გოლი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ჰოლანდიელმა კუმანმა მატჩის მე-80 წუთზე.

სტუმრად ითამაშა მეორე ადგილზე მყოფმა მადრიდის „ათლეტიკომაც". „სევილიასთან" მისი მატჩის პირველი ნახევარი ფრედ — 0:0 დასრულდა, თუმცა კი მასპინძლებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რამდენიმე კარგი შანსი. მეორე ნახევრის დასაწყისში (47, წთ.) „სევილია" მაინც დაწინაურდა: ბურთი „ათლეტიკოს" კარში გაიტანა ავსტრიელმა პოლსტერმა. 71-ე წუთზე მადრიდელთა სწრაფი და ლამაზი კონტრშეტევა უკვე მეორე ავსტრიელმა — როდაკომ დააგვირგვინა ლამაზი გოლით. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

და კიდევ მესამე ლიდერზე — „ოსასუნაზე", რომელმაც ასევე სტუმრად ითამაშა „სარაგოსასთან", ეს ორთაბრძოლა შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობდა და ფრედ (0:0) დამთავრდა.

**ტურის სხვა მატჩები დასრულდა ასე:**

„სან-სებასტიანი" — „ტენერიფე" 1:3 (1:1)

„მალიორკა" — „სპორტინგი" (ხიხონი) 1:1 (1:0)

„კადისი" — „ათლეტიკო" (ბილბაო) 2:3 (0:1)

„ლოგრონიესი" — „ვალიადოლიდი" 1:2 (0:1)

„ოვიედო" — „ბეტისი" 1:0 (1:0)

„რეალ" (მადრიდი) — „ვალენსია" 4:0 (1:0)

„ესპანიოლი" — „ბურგოსი" 1:0 (1:0)

**ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტური ლა დარჩა.**

**გათამაშების ცხრილი**

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 22 | 5 | 3 | 49 |
| „ათლეტ." (მადრ.) | 16 | 12 | 2 | 44 |
| „ოსასუნა" | 13 | 10 | 7 | 36 |
| „ოვიედო" | 10 | 13 | 7 | 33 |
| „ლოგრონიესი" | 12 | 8 | 10 | 32 |
| „სპორტინგი" (ხიხ.) | 11 | 10 | 9 | 32 |
| „სევილია" | 13 | 6 | 11 | 32 |
| „რეალი" (მადრიდი) | 13 | 5 | 12 | 31 |
| „ვალენსია" | 11 | 8 | 11 | 30 |
| „სან-სებასტიანი" | 9 | 11 | 10 | 29 |
| „ტენერიფე" | 12 | 5 | 13 | 29 |
| „ესპანიოლი" | 10 | 8 | 12 | 28 |
| „ვალიადოლიდი" | 8 | 12 | 10 | 28 |
| „ათლეტ". (ბილბაო) | 12 | 4 | 14 | 28 |
| „ბურგოსი" | 7 | 13 | 10 | 27 |
| „სარაგოსა" | 8 | 9 | 13 | 25 |
| „მალიორკა" | 7 | 10 | 13 | 24 |
| „კასტელონი" | 7 | 10 | 13 | 24 |
| „ბეტისი" | 6 | 8 | 16 | 20 |
| „კადისი" | 4 | 11 | 15 | 19 |

• • •

### ბრწყინვალე დუეტი: შუსტერი-ფუტრე

ის, რომ მადრიდის „ატლეტიკო" იუგოსლაველ ტომისლავ ივიჩის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ თამაშობს და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „ბარსელონას" ერთადერთი მეტოქეა, ახალი „დუეტის" დამსახურებად მიაჩნიათ: მისი „წევრები" არიან პორტუგალიელი გარემარბი ფუტრე და ცნობილი გერმანელი ნახევარმცველი შუსტერი. გერმანელი, რომელიც ძალიან ჭირვეული ხასიათით გამოირჩევა, რამდენიმე წელს „ბარსელონასა" და მადრიდის „რეალში" თამაშობდა, მაგრამ ვერც ერთ გუნდს ვერ შეეწყო, მწვრთნელებს გაუთავებლად ეკამათებოდა.

ახლა შუსტერმა ივიჩთან საერთო ენა გამონახა და, რაც მთავარია, შესანიშნავად თამაშობს.

### „სპორტპროგნოზი", მე-17 ტირაჟის პროგრამა (26-28 აპრილი)

| | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მსოფლიო პირველობა ყინულის ჰოკეიში** | | | | | |
| 1. კანადა — შვეცია | 26.IV | 30 | 10 | 60 | 2 |
| 2. ჩეხოსლოვაკია — სსრკ | 26.IV | 30 | 10 | 60 | X |
| **სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 3. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) | 27.IV | 60 | 30 | 10 | 2 |
| 4. „დინამო" (მინსკი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 27.IV | 60 | 30 | 10 | 1 |
| 5. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „პამირი" (დუშანბე) | 27.IV | 60 | 30 | 10 | 1 |
| 6. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 28.IV | 30 | 50 | 20 | X |
| 7. „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) | 28.IV | 20 | 50 | 30 | X |
| **მსოფლიო პირველობა ყინულის ჰოკეიში** | | | | | |
| 8. სსრკ — შვეცია | 28.IV | 70 | 20 | 10 | X |
| 9. ჩეხოსლოვაკია — კანადა | 28.IV | 40 | 40 | 20 | X |
| **სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | | |
| 10. „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) | 28.IV | 60 | 30 | 10 | X |
| 11. „დინამო" (სტავროპოლი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | 28.IV | 30 | 60 | 10 | 1 |
| 12. „ფაკელი" (ვორონეჟი) — „დინამო" (სოხუმი) | 28.IV | 40 | 50 | 10 | 1 |
| 13. „კუბანი" (კრასნოდარი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) | 28.IV | 60 | 30 | 10 | 2 |

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

## ქვირფასო თბილისელებო!

ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექცია და საქართველოს კულტურიზმის ფედერაცია აცხადებენ მიღებას სპორტულ და გამაჯანსაღებელ კულტურიზმის სააბონემენტო ჯგუფებში (გოგონები, ქალები).

სპორტულ ჯგუფებში მიიღებიან გოგონები და ქალები 16-დან 30 წლამდე. მიღება შერჩევითია. ვარჯიშები ჩატარდება კვირაში სამჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს 16 საათიდან — 18 საათამდე.

სტადიონის სპორტნაგებობებზე მუშაობას აგრძელებენ აგრეთვე სხვა გამაჯანსაღებელი ჯგუფებიც: საერთო ფიზიკურ მომზადებაში, კულტურიზმში (მამაკაცებისათვის), რითმულ ტანვარჯიშში, ჭიდაობა სამბოში. მეცადინეობას ატარებენ მოწინავე მეთოდებით მაღალი კვალიფიკაციის გამოცდილი მწვრთნელები.

**ცნობებისათვის მიმართეთ ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექციას. მისამართი: აკ. წერეთლის გამზირი, 2. ტელეფონი 95-03-76.**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ა. ბურდული, კორექტორები: ე. ხომერიკი და მ. ძიძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380034
თბილისი, ბ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-54
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი" — 93-97-26, „შარავანდი" — 93-97-27.

ИНДЕКС
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380009, თბილისი, ბ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, მაშინაცულ, 39.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20